KA030167165794319

№ 01-1742 **21 / თებერვალი / 2019 წ.**

საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან
დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური
დაცვის მინისტრს ბატონ დავით სერგეენკოს

ანალიტიკის, ადამიანური რესურსების მართვისა და
საერთაშორისო ურთიერთობების დეპარტამენტის
უფროსის, პირველადი სტრუქტურული ერთეულის
ხელმძღვანელის სოფიკო ბელქანიას

მოხსენებითი ბარათი

ბატონო დავით,

მოგახსენებთ, რომ მიმდინარე წლის 24-27 თებერვალს, აზერბაიჯანში, ქ. ბაქოში იმართება მსოფლიო ბანკის ორგანიზებით დაგეგმილი სემინარი - Learning Labs on Activation and Graduation Policies", რომელზეც განიხილება მიზნობრივი სოციალური დახმარების სისტემებში ინტეგრირებული აქტივაციის და განლევადობის საკითხები, პროგრამის დიზაინი და იმპლემენტაციის შესაძლებლობები.
აღნიშნულ შეხვედრაში მონაწილეობის მიღების მიზნით მიწვეულნი არიან საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს სოციალური დაცვის დეპარტამენტის უფროსი ნინო ოდიშარია და ამავე დეპარტამენტის პენსიისა და სოციალური დახმარების სამმართველოს უფროსი თეა გვარამაძე.
ამასთან, გაცნობებთ, რომ ვიზიტთან დაკავშირებულ ხარჯებს (მგზავრობა და სასტუმრო) ანაზღაურებს მიმწვევი მხარე.
თქვენი თანხმობის შემთხვევაში, უზრუნველვყოფთ შესაბამისი მივლინების ბრძანების გაფორმებას ქალბატონი ნინო ოდიშარიასთვის და ქალბატონი თეა გვარამაძესთვის მიმდინარე წლის 24 თებერვლიდან 27 თებერვლის ჩათვლით და დღიური სამივლინებო ხარჯის ანაზღაურებას მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

პატივისცემით,

ხელმოწერილია/
შტამპდასმულია
ელექტრონულად

ანალიტიკის, ადამიანური რესურსების
მართვისა და საერთაშორისო ურთიერთობების
დეპარტამენტის უფროსი, პირველადი
სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელი

სოფიკო ბელქანია